

**ჯაზური მუსიკის შემსრულებელი (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი) - 080552**  
**პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

ჯაზი მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრული ნაირსახეობაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მუსიციერების სპონტანურობა, შერწყმული სპეციფიკურ ჯაზურ აზროვნებასთან. ჯაზი მუსიკალური იმპროვიზაციის ხელოვნებაა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეთნიკური რეგიონების მუსიკალური ტრადიციებს (აფრიკა, ამერიკა, ევროპა, აზია). ჯაზური მუსიკის შემსრულებელი ეს მუსიკოს-შემოქმედის განსაკუთრებული კატეგორიაა. ჯაზური მუსიკის შემსრულებელი ფლობს რა იმპროვიზაციის ხელოვნებას, შემოქმედებით პროცესში ითავსებს ერთდროულად შემსრულებლისა და კომპოზიტორის თვისებებს. ჯაზური მუსიკის შემსრულებელი ვირტუოზულად ფლობს ინსტრუმენტს/სახმო აპარატს, ანსამბლური მუსიციერების ფორმებს. მას გააჩნია მუსიკალურ-შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

**II. დასაქმების სფერო**

ჯაზური მუსიკის შემსრულებელს შეუძლია დასაქმდეს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში, მუსიკალურ თეატრებში, ფართო პროფილიან ხელოვნების ცენტრებში, რადიოსა და ტელევიზიაში.

**III. დამატებითი მოთხოვნები:**

- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- შემოქმედებითი ტურების გავლა.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ჯაზური მუსიკის შემსრულებლის საგანმანათლებლო პროგრამა არის ერთსაფეხურიანი (მეხუთე საფეხური). პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ჯაზური მუსიკის შემსრულებლის (ინსტრუმენტალისტის/ვოკალისტის) V საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამისი დიპლომით.

ჯაზური მუსიკის შემსრულებელი (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს. აქედან მ ი ნ ი მ უ მ 40 % ეთმობა პრაქტიკას.

V. ჯაზური მუსიკის შემსრულებლის (ინსტრუმენტალისტი/ვოკალისტი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერი

|   |   |   |
|---|---|---|
| <p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>               | <p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p>   | <p>გაცნობიერებული აქვს სხვადასხვა სტილის და მიმართულების ჯაზური კომპოზიციების შესრულების სპეციფიკა; აქვს სხვადასხვა სტილისა და მიმართულების შესაბამისი ჯაზური იმპროვიზაციის თეორიული ცოდნა; აქვს საანსამბლო ჯაზური მუსიციერების ჩვევები; აქვს ჯაზური მუსიკალური ხელოვნების ისტორიის და თეორიის ცოდნა; აქვს პროფესიული მოღვაწეობის სფეროს შესაბამისი სპეციალური ლიტერატურის ცოდნა; აქვს ჯაზური მუსიკალური ხელოვნების თეორიული საფუძვლების, მუსიკალური ენის სტრუქტურისა და ფორმაქმნადობის პრინციპების ცოდნა; აქვს მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიის, ჯაზის ხელოვნების ისტორიის, ეროვნული ტრადიციების თავისებურებების, ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების შემოქმედებითი ბიოგრაფიების ცოდნა; ჯაზის კოლექტივის ორგანიზების და ხელმძღვანელობის პრინციპების ცოდნა.</p> |
| <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p> | <p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>   | <p>ფლობს ჯაზურ საშემსრულებლო ხელოვნებას; ფლობს ანსამბლური მუსიციერების ხელოვნებას; ფლობს ჯაზური იმპროვიზაციის ტექნიკას, სხვადასხვა სტილისა და მიმართულების შესაბამისად; საშემსრულებლო პრაქტიკაში იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას; ახორციელებს ჯაზ-ბენდის ხელმძღვანელობას.</p>   |
| <p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>            | <p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>   | <p>აქვს როგორც საკუთარი, ასევე ჯაზ-ბენდის საშემსრულებლო მოღვაწეობის დაგეგმვის უნარი; აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ შესრულებული ჯაზური კომპოზიციის შეფასება; აქვს საშემსრულებლო პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.</p>  |
| <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>                  | <p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა</p> | <p>აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში მუშაობის და ხელმძღვანელობის უნარი, სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან) კომუნიკაციის უნარი, მსმენლთან კომუნიკაციის სპეციფიკური უნარი; შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი</p>   |

|                      |   |  |
|----------------------|---|--|
|                      |   | მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად; ფლობს უცხო ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის.  |
| <b>სწავლის უნარი</b> | შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.                             | აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც ჯაზური შემსრულებლობის სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს; აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი; შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით ჯაზური ხელოვნების სფეროში სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა. |
| <b>ღირებულებები</b>  | აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს. | აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე. ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; გაცნობიერებული აქვს ანსამბლური მუსიციერების სპეციფიური ღირებულებები, რაც ვლინდება პარტნიორების ურთიერთდახმარებასა და ურთიერთგაებაში.  |